№ 64
მარტის 20, ხუთშაბათი 1903 წ.
1877

ივერია

№ 64
მარტის 20, ხუთშაბათი 1903 წ.
1903

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გარდაცვალებულის

თავ. ნიკოლოოზ დიმიტრის ძის ჭავჭავაძის

გვამის გამოსვენება დანიშნულია პარასკევს ამა მარტის 21, დილის 10 საათზე განსვენებულის სადგომიდგან (ერევნის მოედანი, სახლი სუმბათოვისა) ტფილისის იოანნე ნათლის მცემლის ეკკლესიაში (ყორღანოვის ქუჩაზე), რომლის გალავანშიაც დაკრძალული იქნება გვამი განსვენებულისა. (2—65—1)

დიმიტრი დავითის ძე კალატოზიშვილი დედითა და მეუღლითურთ, გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა მამისა თვისისა

დავით (ჩიტო) კალატოზიშვილისას

და სთხოვენ მობრძანდნენ განსვენებულის დასაფლავებაზედ სოფ. წვერს 20 ამა მარტს (სად. ქარელი).

(1—6.—1)

ა. ი. მანთაშევის ქარვასლაში

შუა ბაზარი №№ 39—45

გაიხსნა

სხვა-და სხვა განყოფილება და საწყობი

ნარდათ გასაყიდი

მაუდეულობის საქონლისა.

სავაჭრო სახლი.

ს. გ. პირამოზოვის, გ. გ. ოჯანეზოვის და ამხ—ისა

ვსთხოვთ
პატივცემულ
საზოგადოებას
მომავალ გაზაფხულის
სეზონისთვის თვით დარწმუნდეს
ჩვენის საქონლის სიიაფესა და ღირსებაში
განყოფილება იმყოფება
კავკაზში, გროზნაში, გიორგიევსკასა და ქუთაისში
ვაჭრობა ძალიან პირიანია. ფასი გადაჭრილია.
ფირმა არსებობს 1868 წლიდგან.

(6—56—6)

ს.-პეტერბურგის კომპანია „ნადეჟდა“

ზღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად

დაარსებულია 1847 წელს.

ძირითადი თანხა	1.650.000 მან.
სათადარიგო თანხა	2.664,808 მან.

I. გაგზავნა ტვირთისა.

300 საგენტოზედ მეტია ევროპიულ რუსეთის ყველა უმთავრესს ადგილას, კავკასიაში, შუა აზიაში, სიბირში და შორეულ აღმოსავლეთად, აგრეთვე წარმომადგენელნი ჰყავს უმთავრესს ქალაქებში საზღვარ-გარედ.

კომპანია კისრულობს გაგზავნას და გადაზიდვას ყოველ-გვარ საქონლისა და ნივთისას, მიდებს და ჩაბარებას სახლში, საწყობსა და მაღაზიაში.

კისრულობს ჩაბარებს ბარგი გამგზავნთა მიერ აღნიშნულ პირობით (ფას-დადებით გამგზავნის ხარჯზედ, ფულის გაგზავნა დეპეშით საქონლის გაგზავნისათვის იქ, სადაც ბარგი და საქონელი უნდა იქნას ჩაბარებული და სხ.).

შესახვა საქონლისა შეღავათიანის პირობით იმ დრომდე, ვიდრე პატრონს ჩაჰბარდებოდეს და დაზღვევა მისა საწყობში, რისთვისაც ბევრგან გვაქვს დიდნი საკუთარნი საწყობანი, განსაკუთრებით საქონლის შესანახად მოწყობილნი.

II. ნაოსნობა.

კომპანიას აქვს საკუთარი გემები, ზღვებსა და მდინარეში სავლელი ნავები (ბარჟები) პასაჟირებისა და საქონლისათვის, აგრეთვე საბუქსირო გემები (სულ 70 ნავი და გემი). ავდიანი მიმოსვლა პასაჟირთა და ზიდვა საქონლისა მდ. ვოლგას ყოველ ბაქან შორის, რიბინსკიდგან ასტრახანამდე და კასპიის ზღვის ყოველ პორტს შორის, ასტრახანიდგან სპარსეთის საზღვრებამდე.

უზარმაზარნი საწყობნი საქონლისა ნიჟნი-ნოვგოროდში (სიბირის ბაქანთან, ასტრახანსა, ბაქოსა და კრასნოვოდსკში).

III. დაზღვევის ოპერაციები.

ა) **დაზღვევა** საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვითა და არით.

ბ) **დაზღვევა** ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.

გ) **დაზღვევა** ყოველ-გვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბარჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) **დაზღვევა** განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის საგენტონი ყველგან. სტრახოვოის საგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის საგენტონი.

გამგეობა ს.-პეტერბურგის კომპანიის **„ნადეჟდას“**-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვოს პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კანტორა და რწმუნებულნი: საზღვაო ნაოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნაოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო სასახლის ქუჩაზე, ქართველთა თავად-აზნაურობის სახლში ტელეფონი № 108.

(120—6.—96).

№ 45—5 ტელეფონი № 617

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 20 მარტს

ჰენრიხ იბსენის პატივსაცემლად

ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება
ნუცა ჩხეიძის მონაწილეობით
პირველად ქართულ სცენაზედ

I

ნორა

დრამა 3 მოქ. ჰენრიხ იბსენისა, თარგ. ა. ცაგარლისა.

II

დედის ერთა

კომედია 1 მოქმ.

Ш

აპოთეოზი

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, რიონელი, ბნ-ნი გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი, როანიშვილი და სხ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია
დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად „ქეთევან წამებული“ „მედია“.

რეჟისორი **ვალ. გუნია.**

ხუთშაბათს, 20 მარტს, საღამოს 8 საათზედ, სამხედრო შტაბის დარბაზში დანიშნულია

საზოგადო კრება

კავკასიის საგეოგრაფიო საზოგადოების წევრთა

ამ კრებაზედ ნამდვილი წევრი საზოგადოებისა კ. თ. განი წაიკითხავს თავის მოხსენებას დაღესტნის უმაღლეს ადგილებზედ მოგზაურობის შესახებ. არა წევრთ შეუძლიანთ კრებაზედ დასწრება უფასოდ. (3—3)

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლისაგან.

25 მაისს, 1898 წელს დამტკიცებულ სახელმწიფო საბჭოს აზრის ძალით იმის შესახებ, რომ დაუბრუნდეს ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის დამფუძნებელად მყოფთ თავიანთი შეტანილი ფული ამა ბანკის დასაარსებლად და ფინანსთა მინისტრის მიერ 8 მაისს, 1900 წელს დამტკიცებულ წესთა მე-7 მუხლის ძალით, ამით ცხადდება საყოველთაოდ, რომ ის, ვის ხელშიც გადავიდა შესაბამის წარწერით ყარამან გურგენის ძის ნაცვალოვის მირ ზემოხსენებულ ბანკის დასაარსებლად შეტანილის ფულის კვიტანცია ას სამოც და ხუთმეტის მანეთისა (175 მ.), მოვალეა წარმოუდგინოს იგი ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს ექვსის თვის განმავლობაში დღიდგან ამ განცხადების დაბეჭვდისა. თუ ასე არ მოიქცა, სამუდამოდ დაეკარგება უფლება იმ ფულის მიღებისა და იგი ფული დაუბრუნდება ზემოხსენებულ ნაცვალოვს ანუ მის მემკვიდრეებს. (3—6.—2)

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 ს. და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-მდის და საღამ. 5—7-მდის. (წლ.)

ქართველ ქალთა ამხანაგობის

სამკერვალოში

მიიღებენ ყოველგვარ ხელსაქმეს: თეთრეულს ფერადი ძაფით ნაკერებს და **კაბებს** ქალებისას და ბავშვებისას.

ბარონის ქუჩა, № 12.

ცირკი ძმ. ნიკიტინებისა

ხუთშაბათს, 20 მარტს, დანიშნულია დიდი წარმოდგენა. სხვათა შორის, იქნება ორი ფრანგული და კავკასიური ჭიდაობა. 1-ლი, დაუძლეველი მოჭიდავე—**ჰერკულესი მოორი** იჭიდავებს გამოჩენილ მოჭიდავესთან

კავკასიური



ჭიდაობა

რაზუმოვთან, დამძლევს ჯილდოდ 50 მანეთი მიეცემა. 2, თედო ავალიშვილი (ივივე ლილოელი) იჭიდავებს კონსტანტინე მაისურაძესთან. დამძლევს ჯილდოდ 25 მან. მიეცემა.

მონაწილეობს 5 სპილო

სია

ქართვ. შორის წ.-კითხვ. გამავრც. საზ. წევრთა, რომელთაც შემოიტანეს საწევრო ფული 10—16 მარტის განმავლობაში:

№№	სახელი და გვარი	მ.	კ.
52	სოლომონ წერეთელი . . .	6	—
53	ივანე ნიჟარაძე	6	—
54	ვლადიმერ წერეთელი . . .	6	—
55	პეტრე აბაშიძე	6	—
56	ჯიბრაილ იაშვილი . . .	6	—
57	ფილიპე დარჩია	6	—
58	ილია მხეიძე , ...	6	—
59	ალექსი გალუსტოვი . . .	6	—
60	ნესტორ ბეჟანეიშვილი. . .	6	—
61	ვლადიმერ ჩაჩაია	6	—
		60	

სულ მდგომ. წ განმავლ. შემოტან. 367

ექიმი

ვ. ღამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავათმყოფით საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642. (წ.)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სიფილისის (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფისა.

მ. ზ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ძ. ი. ზძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

ზ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბთაობით და შაბათობით.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულისა და კანის ავადმყოფობისა (ელექტროტერაპია)

ნ. ს. ლუზეცკი 6—7 საათამდე, ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგანი და ვენერიული.

ქალი ექიმი **ა. ი. ზხერბანინა** 7—7½ საათამდის. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ზ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ს. ტ. არზანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გიმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон- (წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჰიჰინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

ვ. დ. ღამბაშიძე—შინაგანი: 9—10.

ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.

კამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ა. მუსხელოვი:—თვალის ავადმყოფობა— ორშ. ხოთშ. და შაბათი. 11½—12½.

ა. ზ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ს., კვირაობით 10—11 ს.

ზრ. ვ. ხობოლევსკი—ოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარასკეობით და შაბათობით 1—3 საათ.

ზ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—3 ს.

საღამოთი:

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

მუდმივი ექიმი **ზ. დ. ნასარიძე.**

მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა: ორშაბათობით ოთხშაბათობით და პარასკეობით 6—8 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

ტფილისი, 20 **მარტი.**

ამ დღეებში დეპეშამ გვამცნო,—ნიკარაგუას რესპუბლიკაში (სამხრეთ-ამერიკაშია) რევოლიუცია დაიწყო; მცხოვრებნი დიდს განსაცდელში არიან ჩაცვივნულნი, რადგან რევოლიუცია ხელოვნურადაა გამოწვეული,—გარედგან უწყობენ ხელსაო.

ვინ არიან ეს „გარეშენი“, რომელნიც განზრახ ამღვრევენ წყალსა? ვისათვისაა ხელ-საყრელი, ამ შორეულ რესპუბლიკაში აჯანყება მოახდინოს და არივ-დარიოს იქაურობა?

მგონი, დანამდვილებით შეგვიძლიან ამ „გარეშეთა“ შორის დიდი სახელმწიფოები ვიგულისხმოთ.

ამ უკანასკნელ ხანებში დიდ სახელმწიფოთა იმპერიალიზმისადმი მისწრაფება იმდენად თავ შეუკავებელია, რომ კაცმა არ იცის, სადამდე მიაღწევს იგი. სწორედ აქედგან წარმოსდგება, რომ მათს გაღვიძებულს მადას ვერა აკმაყოფილებს-რა. დაიუფლეს და დაიმკვიდრეს ყოველი კუთხე ქვეყნისა, სადაც-კი ხელი მიუწვდებოდათ; დაიმონავეს თვით უზარმაზარი აფრიკაც (ორიოდე გაჭირვებული სახელმწიფო-ღა დარჩა კიდევ თავისუფალი და იგინიც სულსა ღაფავენ; დღეს. თუ ხვალ რომელისამე დიდ სახელმწიფოს პროვინციად გახდებიან). დარჩენიათ კიდევ ჩინეთი და სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკები. ამ ორის წლის წინად სცადეს ჩინეთის დამონავება, შეესიენ კიდეც და ისახელეს თავი მტარვალობითა და საარაკო ულმობ-

ლობით, მაგრამ, სხვა-და სხვა მიზეზთა გამო, საუმჯობესოდ სცნეს უკანვე გამობრუნებულიყვნენ.

სულ სხვა მდგომარეობა'შია სამხრეთ ამერიკის რესპუბლიკები—ვენესუელა, ბოლივია, პერუ, ნიკარაგუა და სხ. მას შემდეგ, რაც აქ სარესპუბლიკო წეს წყობილება დამყარებულა, ვგონებთ, ერთს წელსაც არ გაუვლია ისე, რომ შინაური არეულობა არ მომხდარიყოს; გამოვარდება ერთი ვინმე თავზედ ხელ აღებული, მოუყრის თავს რამდენსამე თანამოაზრეს, და გამოაცხადებს რევოლიუციას,—არ გვინდა ეხლანდელი მთავრობაო. ასტყდება ერთი ვაი-უშველებელი; სულ ერთია, ვინც უნდა გაიმარჯვოს—მთავრობამ თუ მეამბოხეთ: ისევ მალე გამოჩნდება ახალი ბელადი და დაიწყება ახალი რევოლიუცია. ასეთმა დაუსრულებელმა რევოლიუციამ, ერთის მხრით, მეტად შეაფერხა ამ რესპუბლიკათა გონებრივი და ქონებრივი წარმატება, და მეორეს მხრით, საღერღელი აუშალა დიდ სახელმწიფოებს; მიზეზიც საუცხოვო ეძლევათ: რადგან რესპუბლიკების დაცხრომა-დაოკებას არა ეშველა რა, გარეშე ვინმე უნდა მიეშველოს, მფარველობა გაუწიოს და ბოლო მოუღოს დაუსრულებელს არეულობას. მორჩა და გათავდა; რახან მიშველებაზე მიდგება საქმე, მერე თვითონ იციან, როგორ ჩაჰბღუჯონ თავიანთი ბასრი კლანჭები საბრალო მსხვერპლსა. იშვიათი მაგალითი ყოფილა, რომ ასეთ „მფარველობისაგან“ ჯერ ვისმე დაეღწიოს თავი.

როგორც დეპეშა იუწყება, ნიკარაგუაში ხელოვნურად გამოუწვევიათ ამბოხება; რაღა ეს ეჭირვებოდა საბრალო რესპუბლიკას, როცა ჩვეულებრივ არეულობისაგანაც ილაჯი აქვს გაწყვეტილი.

როდესაც ვენესუელას შეესიენ გერმანია და ინგლისი, ჩრდილო-ამერიკის მთავრობამ ხმა აიმაღლა და მოაგონა დაუპატიჟებელ სტუმრებს მონროეს დოქტრინა,—გარეშე ამერიკელისა ამერიკასთან არავისა აქვს ხელიო. თუ რომ ანგარიშები გაქვთ გასასწორებელი, მიიღეთ და მიბრძანდითო. ტყუილად ნუ ჰფიქრობთ ამერიკაში მოგაკიდებინოთ ფეხიო. მაგრამ ჯერაც არ დასრულებულა ვენესუელას საქმე, და აი, სხვა რესპუბლიკებშიაც იჩინა თავი არეულობამ. თუ მართლა ეს არეულობა ევროპიელთა ჩაგონებითაა გამოწვეული, დიდი სიფრთხილე და გამჭრიახობა ჰმართებს შეერთებულ შტატების მთავრობას, რომ შორეული მეტოქე ევროპიელნი მომიჯნავედ და მოცილედ არ გაუხდნენ მისს სამფლობელოს.

ტფილისი

◆ გუშინ, 18 მარტს, ალიქსანდრის ბაღი მორთული იყო ბაირაღებით და ყვავილებით. მთელს ქალაქსაც ამ დღეს სადღესასწაულო ელფერი ედო. ამ დღეს დანიშნული იყო დიდებულის მწერლის ნ. ვ. გოგოლის ძეგლის კურთხევა. ჯერ თერთმეტი საათი არ იქმნებოდა, რომ ბაღში მოვიდნენ სხვა-და-სხვა სასწავლებლის მოსწავლენი მასწავლებლებით; 1 საათზე ალექსანდრე ნეველის საკრებულო ტაძარში პანაშვიდი გიდაიხადა მწერლის სულის მოსახსენებლად მისმა მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობამ, საქართველოს ექსარხოსმა ალექსიმ. სამღვდელოება, პანაშვიდი შემდეგ, გაემგზავრა ძეგლისაკენ. ამ დროს ხან სამხედრო მუსიკა უკრავდა, ხან მგალობელთა გუნდნი გალობდნენ. ძეგლთან 2 საათზედ ექსარხოსის მიერ, ქალაქის სამღვდელოების თანამწირველობით, გადახდილ იქმნა მცირე პანაშვიდი; პანაშვიდის შემდეგ, როცა დაიწყეს „საუკუნოდ იყოს ხსენება მისი“-ო გადააძრეს ძეგლს ტილო. დაუკრა სამხედრო მუსიკამ. ამის შემდეგ ქალაქის თავის მოადგილე ბ-ნი შესტაკოვი ავიდა საგანგებოდ ამაღლებულ ადგილზედ და სიტყვა წარმოსთქვა:

21 თებერვალს 1902 წელს, ასე დაიწყო თავი სიტყვა ბ-ნმა შესტაკოვმა, შესრულდა 50 წელიწედი, რაც ნ. ვ. გოგოლი გარდაიცვალა. ეს დიდი დღე იდღესასწაულა რუსეთმა, იდღესასწაულა აგრეთვე კავკასიამ. ტფილისის ქალაქის თვით-მმართველობამაც ჯეროვანად იდღესასწაულა ეს დღე და, ამას გარდა, გადასწყვიტა, ძეგლი დაედგა დიდებულ მწერლისათვის. ამ საქმისთვის გადიდო კიდეც ფული და ძეგლი გაკეთებული იქმნა.

დღეს ამ დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად მოვიდნენ აქ სხვა და-სხვა წოდების წარმომადგენელნი და აგრეთვე მოსწავლენი. ღმერთმა ჰქნას, რომ ყოველმა მოსწავლემ ჩაინერგოს დიდებული მწერლის მოძღვრება.—ასე დაასრულა სიტყვა ბ-ნმა შესტაკოვმა.

ბ-ნ შესტაკოვის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ვაჟთა მეორე კლასიკურ გიმნაზიის მასწავლებელმა ბ-ნმა სოკოლოვსკიმ, რომელმაც აღნიშნა გოგოლის ნაწერების უმთავრესი თვისებანი...

დასასრულ ყველა სასწავლებლის მოსწავლეთ გაიარეს ძეგლის წინ და გვირგვინები დააწყეს დიდებულ მწერლის ძეგლზედ .. დღესასწაული დასრულდა $3^1/_2$ საათზედ.

ბაღში ხალხი ბლომად არ იყო, რადგან მარტო ბილეთიანებს უშვებდნენ და ყველას-კი არ ჰქონდა ბილეთები... ბაღის გარშემო-კი დიდძალი ხალხი იდგა და ამაოდ სცდილობდა ბაღში შესვლას: პოლიცია არ უშვებდა...

◆ ამ მოკლე ხანში მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებული ბ-ნი მედვედევი პეტერბურგს მიემგზავრება.

◆ მას აქეთ, რაც, უმაღლესის მთავრობის განკარგულებით, ხელოსანთა წესდება ჩვენშიაც სავსებით ასრულებაში მოყვანილ იქმნა, ზოგიგრთა ამქრობა სრულებით მოისპო; მათ შორის მოისპო აგრეთვე მეტივეების ამქრობა და ეს ამოდენა ხალხი თვითოეულად მუშაობს თავის ანაბარად. თითქმის ორი წელიწადია, რაც მეტივეებს არა ჰყავთ არც უსტაბაში და არც გამგეობა.

ამ ჟამად გუბერნატორმა ნება მისცა მეტივეებს, ხელოსანთა წესდების ძალით, ამხანაგობა (артель) შეადგინონ და, როდესაც ამხანაგობის წესდება დამტკიცდება, მაშინ მეტივეების საქმეებს ამხანაგობის გამგეობა განაგებს.

◆ საერო განათლების სამინისტროს წევრმა თ-მა გოლიცინმა გუშინ-წინ, 18 მარტს, დაწვრილებით დაათვალიერა ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელი. თ-დს გოლიცინს თან ახლდნენ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ბ-ნი ზავადსკი და მისი თანაშემწე. ბ-ნი სლავიანსკი. თავად გოლიცინს სასწავლებელში მიეგებნენ სკოლის ინსპექტორი და მასწავლებელნი გაკვეთილები გათავებული იყო ($2^1/_2$ საათი იქნებოდა) ამიტომ თავ. გოლიცინი გაკვეთილებს ვერ დაესწრო, მხოლოდ დაათვალიერა საავადმყოფო და საწოლი ოთახები.

◆ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მასწავლებელ კაცთა და მასწავლებელ ქალთა კრებაა დანიშნულია ტფილისის საოსტატო ინსტიტუტის სადგომში, ამ სამოსწავლო წლის დამლევს.

◆ ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის დირექტორი ა. ი. ოჰანეზოვი გადაჰყავთ ბორჯომის სახელოსნო სასწავლებლის დირექტორად, ბორჯომის სასწავლებლისა-კი ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის დირექტორად.

◆ კვირას, 23 მარტს, ტილისში ჩამოვა ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსი ი. კ. ივანოვსკი.

◆ საფინანსო კომისიის თავმჯდომარემ ა. ს. ბაბოვმა წარუდგინა ქალაქის გამგეობას საგანგებო კომისიის მიერ შედგენილი მოხსენება თივის მოედნების მოწყობის შესახებ. მოხსენებას საბჭო განიხილავს.

◆ როგორც ვიცით, ტფილისის საბჭომ დააკმაყოფილა ბ-ნ რობის თხოვნა და 3 თვით განაგრძო მამადავითზედ ფუნიკულერის დაწყების ვადა. ეს გადაწყვეტილება ქალაქის თავის მოადგილემ ბ-ნმა შესტაკოვმა აცნობა რობის რწმუნებულს ბ-ნ რაგოლერს, რომელმაც ამ დღეებში რობის პასუხი უნდა გადასცეს საბჭოს

◆ ქალაქის გამგეობას სთხოვა ბ-ნმა კრასნიანსკიმ, ავლაბრის აგარაკში იჯარით მომეცით ადგილი მარილის დასამუშავებლადაო. იჯარას ფულად კრასნიანსკი ჰპირდება 300 მანეთ წელიწადში. გამგეობამ ქიმიკოს ალიბეგოვს მიანდო ამ ადგილის გამოკვლევა.

◆ დღეს, 20 მარტს, კავკასიის საიმპერატორო საგეოგრაფიო საზოგადოების წევრთა კრებაა, რომელიც მოისმენს ამავ საზოგადოების ნამდვილის წევრის ბ-ნ განის მოხსენებას დაღისტანში მოგზაურობის შესახებ.

◆ დღეს ქართულს თეატრში წარმოადგენენ ჰენ. იბსენის დრამას „ნორას“.

◆ პეტერბურგიდან ხმები მოდის, კავკასიის მთავარ-მართებელმა დაამტკიცა ტფილისის ქალაქის თავად ტფილისის ქალაქის საბჭოს მიერ არჩეული თავ. ნ. ვ. არღუთინსკიო.

◆ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ მისწერა მიწად-მოქმედების სამინისტროს რწმუნებულს კავკასიაში ბ-ნ მედვედევს, ხელი შეუწყვეთ კავკასიის მცხოვრებთა შორის კულტურულ მცენარეულობის გავრცელებასაო. ამ აზრით შეგიძლიანთ პირდაპირ და ავალოთ ამ საქმის ხელის შეწყობა ყველა იმ აგრონომებს, რომელნიც თქვენ უწყებაში არიანო, შეგიძლიანთ, აგრეთვე ხაზინის ხარჯით გააკეთოთ სამაგალითო ბაღები ქალაქის იმ ადგილებში, რომელსაც ხალხი ხშირად ჰხვდებაო.

◆ ტფილისის მასწავლებელ ქალთა საზოგადოებამ ამას წინად განიზრახა, დაარსოს საზოგადოებასთან იაფ-ფასიანი ოთახები. საზოგადოებას არა ჰქონდა გამოანგარიშებული, ეს ოთახები ან რა დაჯდებოდა, ან რამდენს სულს დაიტევდა. ამიტომ საზოგადოების გამგეობამ შეუთვალა საზოგადოების წევრთ, წარმოადგინეთ თქვენი მოსაზრება ამ საგნის შესახებ 6 მარტამდეო... ცნობანი გამგეობამ მიიღო და ახლო მომავალში კრება დაინიშნება საერთო აზრის შესამუშავებლად.

◆ ჩვენ მივიღეთ ქ. ქუთაისის 1903 წლის ხარჯთ-აღრიცხვის ანგარიში. ვარაუდით ამ წელს დაიხარჯება 235,541 მან. 40 კ.; შემოვა 235,541 მან. 42 კ. ანგარიშში ჩამოთვლილია, თუ რაში რა დაიხარჯება და ნაჩვენებია აგრეთვე ყველა ის წყარო, საიდგანაც ქალაქი მოელის შემოსავალს.

◆ 22 მარტს დუშეთში დანიშნულია დუშეთის მაზრის თავად-აზნაურთა კრება. სია თავად-აზნაურთა, რომელთაც უფლება აქვთ კრებაზედ მონაწილეობა მიიღონ, უკვე შედგენილია

◆ მიწად მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებულს კავკასიაში ბ-ნ მედვედევს განუზრახავს გამოიკვლიოს ბრინჯის მოყვანის საქმე კავკასიაში.

◆ 22 მარტს საარტისტო საზოგადოების თეატრში ბ-ნი ფალიაშვილი გამართავს კონცერტს. ეს კონცერტი დანიშნული იყო 7 მარტს, მაგრამ სხვა-და-სხვა მიზეზთა გამო 22 მარტისათვის გადაიდო. იმედია, ქართველი საზოგადოება მრავლად დაესწრება კონცერტს.

◆ 21 მარტს, ტფილისის უსტაბაშთა საზოგადოების დარბაზში დანიშნულია საზოგადო მორიგი კრება უსტაბაშთა საზოგადოების წევრთა. კრება მეორედ არის დანიშნული და, რამდენიც წევრი უნდა დაესწროს, კანონიერად ჩაითვლება. კრება მოისმენს სარევიზიო კომისიის მოხსენებას საზოგადოების საბჭოს მოქმედების შესახებ წარსულ წელიწადში.

◆ ამას წინად მკითხველთ ვაუწყებდით, ტფილისის საგუბერნიო სასტატისტიკო კომიტეტმა მოსთხოვა მაზრის უფროსებს, წარმოადგინეთ, როგორი პირი უჩანს წრეულს მოსავალსაო. ზოგიერთ მაზრის უფროსმა კიდეც აცნობა სასტატისტიკო კომიტეტს მოსავლის მდგომარეობა.

◆ კავკასიის საიმპერატორო სამკურნალო საზოგადოებამ განიზრახა საკუთარის შენობის აგება... შენობას ააგებენ, ქალაქის გამგეობის თანხმობით, ქალაქის მამულზედ. შენობაზედ, როგორც გამოანგარიშებულია, დაიხარჯება 18 ათასი მანეთი.

◆ ქალაქის გამგეობაში ამ ჟამად გამოკიდულია სია იმ ახალგაზდა კაცთა, რომელნიც გაწვეულ იქნებიან სამხედრო ბეგარის გადასახდელად 1903 წელს. სია გამოკიდული იქმნება 1 აპრილამდე.

◆ კვირას, 16 მარტს, ბ-ნ სვიმონიძის საბენეფისოდ წარმოდგენილ იქმნა „მურად-ფაშა“ ისტ. დრამა 4 მოქმედებად ბ—ლისა, გადმოკეთებული „მონნა-ვანა“-დგან.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის მოსამსახურეთა ბიბლიოთეკის წევრნი შუამდგომლობენ რკინის გზის უფროსთან, შემწეობა აღმოუჩინეთ სამკითხველოს 1000 მანათითაო. ბიბლიოთეკის წევრთ იმედი აქვთ მათი თხოვნა დაკმაყოფილებული იქმნება.

◆ არ იქმნა და ვერ დააწესა ქალაქის გამგეობამ ნიხრი ეტლით მიმოსვლისა. ჯერ შარშან ასტყდა ერთი დავი-დარაბა ამ საქმის შესახებ, მაგრამ არა გამოირკვა-რა. ამ დღეებშიც იყო მეორედ კრება. კრებაზედ მოწვეულნი იყვნენ მეეტლეთა წარმომადგენელნი, რომელნიც თხოულობდნენ, რეზინიანი ეტლი მეტი უნდა ღირდესო. საქმე გათავდა იმით, რომ კრება შემდეგისათვის გადასდეს.

ქალაქ ქუთაისის საქმეები.

I

დღე არ გავა ისე, რომ ჩვენის ქალაქის თვით-მმართველობის შესახებ სამდურავი რამ არ გაიგონო:—აი ქუჩები ქუჩებს არ წააგავს, განათება ქალაქისა სულ მივიწყებულიაო და სხვა. ეჭვს გარეშეა, რომ ნაკლულევანება ყოველსავე დაწესებულებას აქვს, მაგრამ ბევრის შესახებ ლაპარაკი აღკრძალულია, მხოლოდ ქალაქის მმართველობის შესახებ-კი სჯა-ბაასი ყველას შეეძლიან. ამით აიხსნება, რომ

ფელეტონი

ლექსნი პროზათა

მთვარიანი ღამე.

ბევრი ეშხით სავსე მთვარიანი ღამე მინახავს, მაგრამ ერთი უფრო ღრმად ჩამრჩა ხსოვნაში.

ღვინობისთვე იყო. რთველს მოვრჩით. მარნებში მაჭრები ჩუხჩუხებდა. მაჭრით, სანოვაგით, სამღთო ცხვრებით და მამლაყინწებით დატვირთული ურმები ავიდა ძველ, მამა-პაპის სალოცავის კალავანში. ცეცხლი აანთეს. სამღთონი დაიკლა. ქვაბებში ხორცი იქაფება. მწვადები შიშხინებს.

ჩვენც—ქალ-ვაჟნი, ზოგი ცხენით, ზოგნი ურმით და ფეხით ბლომად შევგროვდით იქ. მთვარე მართლა რომ ეშხით დაგვყურებდა და ლაპლაპებდა უშველებელ ცაცხვებსა და მუხებში შთანთქმულს თეთრ ეკკლესიის კედლებზედ.

ეკკლესია მაღლობზედ იდგა. მის ძირში მდინარე მოჩხრიალებდა, ერთ მხარეს ვენახები მისდევდა და მეორე მხარეს—ხშირი ტყე. შორს ფართე ველი მოსჩანდა ნახნავ-ნათესებით .. იქ გასული მდინარე გველივით იკლაკნებოდა და ლაპლაპებდა მთვარეზედ. საყანეები, ვენახები, თითქო მელოგინე ქალიაო, ღრმა განსვენებას მისცემოდა, შემდეგ ნაყოფისაგან განთავისუფლებისა.

დაირა, ნაღარა, ლეკური, ჩანგური, სალამური გაჩაღდა მრავალ-წლოვან ცაცხვებსა და მუხებ ქვეშ.

მომხიბლავ საიდუმლოებით გაისმოდა ეს ხმები ღრმად ჩაძინებულ არე მარეში.

მთვარე გადაეწონა.. ვარსკვლავებმა უცნაურად დაიწყეს ციმციმი. გათენების მოახლოების სიომ მოჰბერა... ჩვენ-კი ანთებულ ცეცხლების გვერდზედ მოდებულ სუფრებს ვიყავით ისევ შემომწკრივებულნი. ღვინომაჭარს ბევრისთვის შეეხურებინა ტვინი. „სუფრული“, „ღმერთო, ღმერთო“, „გვიბრძანე“, „ზამთარო“, „ჭარელო“, „დიამბეგო“ და „მრავალჟამიერ“ ბევრი მოთავდა. ბოლოს ახალგაზდობამ—ქალმა და ვაჟმა წამოიწიეს სუფრიდან, გვეყო ბახუსის თაყვანება! მოვრჩეთ ნაყროვნებას და მდინარის პირს ჩავიდეთო! შესძახეს ამათ და აიშალნენ სუფრიდან. მახსოვს, წინ ჩოხოსანი, სოფლის მასწავლებელი მიგვიძღოდა ჩონგურით. უკან მისდევდა ამხანაგივე სალამურით.

ორივემ ერთად მოამარჯვეს საკრავნი.. ჩონგურზედ დაიკრიალა აღფრთოვანებულმა ხალხურმა კილომ. სალამურმაც იგივე სოფლური კილო დააკვნესა!.. დღესაც მახსოვს დამკვრელების აღტაცებული სახე და თვალთა ელვარება! ახლაც მიზუზუნებს ყურში ის სევდით სავსე კილონი...

იმ ჟამად გატაცებით გვრწამდა, რომ ამაზედ უკეთესი კილო აღარ იქმნებოდა, ამაზედ ლაზათიანი დაკვრა... გვეგონა, მთვარეს ამაზედ მეტის ეშხით არას დროს არ უნათებიაო, ამაზედ უტკბესი დრო არვის ჰზმანებიაო!..

ამ დროს... ამ ჟამს... მე გვერდით მომდევდა ქალი... ახალგაზდა... ნაზი... მშვენიერი... არ-კი მახსოვს, ვინ იყო, ან საიდან ვიცნობდით ერთმანეთს... სახელიც-კი არ მახსოვს იმისი... მხოლოდ ვგრძნობდი და ახლაც მრწამს, რომ ჩემი და მისი გული იმ დროს მხურვალედ თანაუგრძნობდნენ ერთმანეთს. ურთიერთისათვის ღნებოდნენ... სძგერდნენ ..

მივუახლოვდი მდინარეს. გაღმიდან მთვარით განათებული ტყე საოცარ ლანდებს ისროდა წყალის ტალღებში. გამოღმიდან ჩვენი ლანდნი ჰკრთებოდნენ ზვირთებში... აქაც სიმღერა, ცეკვა, ლოთი-ფოთობა... მაგრამ მე თავს ვერ ვახწევ იმ პატიოსან სიმღერის და დაკვრის კილოს... იმ დამკვრელთ აღტაცება-აღფრთოვანებას... იმ მშვენიერ ქალის და ჩემის გულის მაშინდელ ძგერას...

არ ვიცი, სადაა ის ტურფა და მშვენიერი... ცოცხალია და მხიარული, ბედნიერი, თუ უმადური სოფლისა. იქმნებ წაიკითხოს მან ეს სტრიქონები .. მოვაგონდები? მოიგონებს?! გაახსენდება ახალგაზდობა... ახალგაზდობის ოცნებანი?!.

მართლა რომ საოცარია! გეღირსება ასეთის მთვარიანის ღამის ნახვა ერთხელ და იგონებ-კი ათასჯერ!..

2. ფიქრები.

მზე მიეშურებოდა დასავლეთისაკენ და გამოსამშვიდობებელ სხივებით ესალმებოდა ქვეყანას. ოქროყანის ჩამოსავალ მაღლობზედ იდგა ორი ახალგაზდა, გაჰყურებდნენ უშველებელ არე-მარეს მშობლიო ქვეყნისას, მის ფართე მინდვრებს, ტყიან და თოვლიან მთებს, მტკვრის გველაშაპივით მიმოხვრას, სოფლებს, დაბებს. ძირს ტფილისი იყო გაშლილი, თავისის ხრიოკის სამზღვრებით. საყდრის გუმბათები და სახლთა სახურავები ლაპლაპებდა მზეზედ. თაბორიდან ქალაქს აჩრდილებდა ციხე-გალავანნი და ძველი ნაშთნი...

ორივე მეგობარნი იყვნენ ახალგაზდანი, ჯანით და სიცოცხლით სავსენი, მაგრამ დღეს გულდაწყვეტილნი, დადარდიანებულნი, რადგან, ის იყო, დამარხეს გულითადი მეგობარი, მესამე ამხანაგი, კეთილ მისწრაფებით სავსე ყმაწვილი კაცი. სევდის გადასაყრელად ამოსულიყვნენ აქ. უმზერდნენ მომაკვდავ მზის სხივებს, მაგრამ ჰგრძნობდნენ, რომ, თუ ცოტას ხანს ეს სხივები გაჰქრებოდა და ბნელი მოეფინებოდა ქვეყანას, მაინც მეორე დღეს უფრო ძლიერად გაანათებდა ცოდვილ დედამიწას. სწამდათ ორთავეს მზის ამოსვლა, მის სხივთა ცხოველ-მყოფელობა!

ელექტრონებრ უვლიდათ პატიოსან გულში გრძნობა და იმედი მომავლისა... სწამდათ, რომ მომავალი ღამე, აგრეთვე ქვეყანაზედ სიბნელე, ბოროტება, უსამართლობა არ იყო ხანგრძლივი, მით უმეტეს სამუდამო..

დიდხანს უმზერდნენ სოფლებს, დაბებს და თვით ქალაქს.. ბოლოს გაჰხედეს ქალაქის განაპირად გაშლილ სასაფლაოს... დააცქერდნენ იმ შავ-ბნელ ალაგს, სადაც დღეიდგან განისვენებდა მათი ამხანაგი და ერთად ამოსთქვეს ამაყად: „ნილოს ხსოვნის გულისთვის ერთი იყოს მუდამ უღელი ჩვენი! წმიდა იყოს ჩვენთვის მოვალეობა ჩვენის ხალხის წინაშე! ჩვენის ბედშავის ქვეყნის სადიდებლად!..გინდ დაგვამხიროს ბედმა, მაინც სურვილი იყოს ერთი, სიდიადე, სიწმიდე მოვალეობისა!..“

მაგრა ჩამოართვეს ერთმანეთს ხელი და დაეშვნენ იქვე მწვანე კორდზედ... ფიქრებს გაჰყვნენ ისევ და თან, თითქო ძღებოდნენ მშობლის ქვეყნის პანარამით, ისე ათვალიერებდნენ...

ბოლოს ერთმა დაარღვია სიჩუმე: „ჰხედავ, ძამია, იმ ყანების ნაწვერლებს... ნათეს მოშორებულ არე-მარეს, სახნავ-სათესს?! მართლა რომ დედაა—მიწა, მკვებავი თავის შვილთა.

ახლა ისვენებს იგი შემდეგ მძიმე ტანჯვისა, ნაყოფიერებიდან განთავისუფლებული! მე მრწამს, რომ სიკვდილი არა-რაა... არსებობს მარტო ძალა, რომელიც აღორძინებს მარცვლებს საყანეებში, ჰზრდის მათ თავთავ-მოშრიალე ყანათ... იგივე ძალა სცვლის მას, რომ ადგილი დაუთმოს მეორე მოსავალს—ახალს!..

„ჩემი აზრიც ეგ არის, ძამია!—უთხრა მეორემ.—სიკვდილი, ვაება, ტანჯვა ცვალებადია.. რომ სიკვდილმა არსებობა დაიქადნოს, წინ სიცოცხლე უნდა უძღოდეს, როგორც ტანჯვა-ვაებას წინ სიხარული—სიამოვნება. იმიტომ არ ვეთანხმები ფილოსოფოს შოპენჰაუერს *). სიკვდილი, ტანჯვა-ვაება, არარაობად მიმაჩნია; სიცოცხლე, ბედნიერება, სიხარული არსებითი საქმე მგონია. სიკვდილი შესვენებაა სიცოცხლისა, როგორც სინათლის ოდნავ დაფარვა სიბნელეა. ამიტომ ვერ ვიტყვი, რომ სიცოცხლე ვითომ გადახურდავდებოდეს სხვა ახალ ცხოვრებაზედ, როგორც ბუდჰელთა სარწმუნოებაშია. იგი არას დროს არ სწყდება... იგი მუდმივია... სიცოცხლეც ხანდახან მიბინდდება ხოლმე, მაგრამ განა ეს მისი შეწყვეტაა?! გაქრობა?!.

განა კვდება მარცვალი ხორბლისა, როდესაც ჩაჰფლავ მიწაში? განა მალე არ ამოღორძინდება ხოლმე და მერე როგორ? ნაცვლად ერთისა ოცი, ოცდახუთი!

ასეთია სიცოცხლეც...

ერთი რამ მწამს შეურყეველად: სიკვდილი არსებობს ქვეყნიერ ჩათლახობისთვის, სისაძაგლისთვის, ბოროტებისთვის! იქო! გეფიცები, კეთილი არასოდეს არ კვდება! კვდება ავ-კაცობა, ეგოიზმი, სიხარბე, ბოროტი! სიყვარული, თავ-განწირულობა, ქველობა, ვაჟ-კაცობა ცოცხალია, მუდამ ცოცხალია!! ტყუილად-კი არ ბრძანებს იოანნე ღვთისმეტყველი: „იყო ნათელი ჭეშმარიტი, იგი ბნელსა შინა იყო, მაგრამ ბნელი იგი მას ვერ ეწიაო!“ განა მოკვდება ჩვენთა მამა-პაპათა ვაჟკაცობა, ქველობა, გულ-ლომობა?! განა მკვდარია ნილო თავის ნათელის „მრწამსით“?—იგი „მრწამსი“ ხომ ჩვენი მრწამსიც არის?! ერთი ნილო წავიდა... ჩვენი ხალხი იღვიძებს, ნათლდება ასი სხვა მოგვივა...

არა, სიმართლე საუკუნოა და სიცოცხლეც საუკუნო!

და მათის სახელით იყოს კურთხეულ ჩვენი გზა-კვალიც!.. კიდევ ჩამოართვეს ამხანაგებმა ერთმანეთს ხელი და დაეშვნენ ქალაქისაკენ...

ზ. გულისაშვილი.

---

*) Шопенгауеръ: „Страданіе реально, наслажденіе отрицательно, потому въ раѣ скучно, въ аду же всѣ муки не удовлетворительной воли“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდიც და პატარაც, მცოდნეც და არა მცოდნეც ამ სფერაში ბჭობს და თავისას ამბობს; რასაკვირველია ყოველივე ეს აზრთხილებს ქალაქის მმართველებს, რომელნიც ყურს ადევნებენ თავის ამომრჩევლების ნათქვამს, იმათ მოთხოვნილებას, მათ გასაჭირს და იღებენ ყოველსავე სამართლიან რჩევას. თუ საქმის სიყვარულმა და იმის გაუმჯობესობამ აალაპარაკა ვინმე და ათქმევინა სიმწარით და გულის ტკივილით ბევრი რამ არა სასიამოვნო ქალაქის მმართველებისათვის, ამ გვარი კაცი მტრად არ ჩაითვლება, როგორც ჩვენში იციან, არამედ მოკეთეთ; ნუ დავივიწყებთ, რომ მეგობარს პირში უნდა ვუძრახოთ, და მასთან პირ-ფერობა მტრობა იქნება. ამ აზრით შევუდგებით ჩვენის ქალაქის მმართველების მოღვაწეობის განხილვას და ვეცდებით ავხსნათ, თუ რამდენად სამართლიანია ის სამდურავი, რომელიც ხშირად გვესმის ჩვენის ქალაქის მმართველობისადმი.

1 და 2 მუხლის ძალით საქალაქო დებულებისა, ქალაქის მმართველები განაგებენ ყოველსავე, რაც-კი ქალაქის მკვიდრთა საჭიროდ და სასარგებლოდ ჩაითვლება: 1) ისინი დებულობენ ქალაქის სასარგებლოდ შემოღებულ გარდასახადებს, 2 აძლევენ ამა თუ იმ დანიშნულებას ქალაქის შემოსავალს და უვლიან ქალაქის მამულებს, 3) იღებენ ყოველ-გვარ კანონიერ ზომას, რომ მცხოვრებლებს სურსათი არ შემოაკლდეს, 4) განაგებენ ქუჩების, მოედნების, არხების, ხიდების, სასეირნო ბაღების, მილებით წყალის გაყვანის და განათების საქმეს ქალაქში, 5) ღარიბთა და ღატაკთა მდგომარეობას თვალს ადევნებენ და იმის გასაუმჯობესებლად აარსებენ საქველ-მოქმედო და საავადმყოფო დაწესებულებებს, რომელსაც თავათ განაგებენ, 6) იგივე ქალაქის მმართველები იღებენ ზომას, რომ, ხალხის ჯან-საღობამ მაგრად გაიდგას ფესვი, ავადმყოფთა დახმარება გაადვილდეს, სანიტარულ მხრივ ქალაქი კარგ მდგომარეობაში ჩავარდეს და პირუტყვთა სენი მოისპოს, 7) ცეცხლის და სხვა უბედურების წინააღმდეგ ზომებს ხმარობენ და ქალაქის კოხტად გაშენებისათვის თავათ ამტკიცებენ ქალაქში შენობების გეგმას (პლანი), 8) განაგებენ ხალხის განათლების საქმეს, 9) ხსნიან ბიბლიოთეკებს, მუზეუმს, თეატრს და სხვა ამ გვარ დაწესებულებას, 10) ცდილობენ ადგილობრივ ვაჭრობის და მრეწველობის გაფართოებას, 11) იღებენ მონაწილეობას ქალაქთა საურთიერთო ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოებების საქმეებში, 12) აკმაყოფილებენ სამხედრო და სამოქალაქო მოთხოვნილებებს და 13) განაგებენ ყოველივეს, რაც-კი ქალაქს დაევალება განსაკუთრებული კანონით და მთავრობის განკარგულებით.

ქუთაისის უმთავრესს წყაროდ შემოსავლისა უნდა ჩაითვალოს მამულებზე გარდასახადი; ყოველივე შენობა და თავისუფალი მიწა ქალაქში იხდის უკანასკნელის სასარგებლოდ გარდასახადს; მე-129 მუხლის ძალით საქალაქო დებულებისა, ქალაქს მიაქვს მამულების წმინდა შემოსავლიდან 1—10%-მდე, ხოლო თუ არ არის შესაძლო მამულისაგან წმინდა შემოსავლის გამორკვევა, მაშინ ქალაქი ახდევინებს 1%-მდე მამულის ღირებულობიდან. ქალაქ ქუთაისმა მეტად ასწია ეს გარდასახადი: სხვა ქალაქები თუ 4 და 5% არ აშორებიან, ქუთაისი 9%-დე ავიდა. რასაკვირველია, ქუთაისს მოთხოვნილება ბევრი აქვს და შემოსავლის წყაროები-კი ცოტა, მაგრამ საჭიროა ამ მძიმე უღელში მყოფ მცხოვრებლებს ქალაქმა რამე დახმარება აღმოუჩინოს; საჭიროა, ეს მძიმე გარდასახადი მან სავსებით აიღოს და სხვა მხრივ მაინც შეამსუბუქოს მკვიდრთა გაჭირვებული მდგომარეობა; მიუხედავად იმისა, რომ მამულებიდან შემოსავალი არის უპირველესი, ის მაინც არ არის კარგად დაყენებული. სამართლიანობა მოითხოვს, რომ სახლის ქირის და იატაკის შეღების შემდეგ, მამული მაშინვე დაფასდეს და ქალაქის სასარგებლოდ ფული იხადოს; სახლიდან მღებავი, რომ გამოდის წინ ქალაქის გამგეობის დამფასებელი კომისია უნდა შეეჯახოს. ჩვენდა საუბედუროდ ამ შემთხვევაში ქუთაისი მეტად კოჭლობს—გადის თვე, თითქმის წელიწადიც, შენობა პატრონს დიდ შემოსავალს აძლევს და ქალაქმა-კი არა იცის რა არც ამ შემოსავლისა, და არც ამ შენობის არსებობისა; კარგია კიდევ, თუ ვინცობაა, ვინმე შემთხვევით დაასახელოს ეს სახლი, ან ქალაქის გამგეობის რომელიმე მოსამსახურემ შემჩნია ის, ანუ და თვით მამულის პატრონმა მიმართა თხოვნით ქალაქს, თორემ დიდხანს დარჩება ეს შენობა დაუფასებელი, და ქალაქსაც შემოსავალი აკლდება. ამის მაგალითები ბევრი არის და წასული წლის მამულების გადაფასებამ ნათლად დაგვანახა ეს. წინადაც აშკარა იყო ეს სუსტი მხარე ჩვენი ქალაქის მოქმედებისა—ბევრმა კარგად იცის, რომ ივანოვის ქუჩაზე ერთი ახალი სახლი, რომელიც ყოველ წლივ 900 მან. იძლევა, დიდხანს დაუფასებელი იყო. მიხაილოვის ქუჩაზე ქალაქის გამგეობის დარბაზთან ახლო ერთი სახლი რამოდენიმე თვეს ქალაქს არას აძლევდა; რასიკვირველია, ამგვარი მაგალითები სხვებიც იქნება და ქალაქს ბევრი მოაკლდება, თუ დროზედ საქმე არ გასწორდა; სამწუხაროდ, ქალაქის გამგეობას ჯერაც არ მიუღია ზომები, რომ ამ სუსტმა მხარემ ჩვენი ქალაქის მოქმედებისამ კარგი სახე მიიღოს და მკვიდრთა ცხოვრებასაც რამე სიკეთე დაეტყოს. ნუ თუ ასე ძნელია სხვა ქალაქების დაკითხვა ამის შესახებ, ნუ თუ საჭირო არ არის, რომ ქალაქის საუკეთესო შემოსავალს ჯეროვანი ყურადღება მიექცეს და ქალაქის გამგეობის კანცელარიაში იყოს ცნობები, სად რა შენდება, სად დამთავრდა შენობა და სად გაქირავდა; მარტო შენობის გეგმის დამტკიცება არ კმარა, საჭიროა ქალაქის გამგეობამ იცოდეს, სად აშენდა სახლი დამტკიცებული გეგმით, სად ქალაქის ნება დაურთველად (ამის მაგალითები ხომ ბევრია, მაგრამ ამაზედ ბაასი შემდეგ გვექნება) და სხ. შეიძლება ქალაქის მოხერხება და შეძლება ამ შემთხვევაში საკმაოისი არ იქნეს და საჭიროებამ მოითხოვოს პოლიციის დახმარება, ქალაქის ბედ-იღბალის გამგენი ვალდებულნი არიან აღძრან ამის შესახებ შუამდგომლობა და კეთილი და სასარგებლო მიმართულება მისცენ მამულებიდან შემოსავლის საქმეს. თუ ახალს ვერას გამოვძებნით, ძველს, უკვე დაკანონებულს, ხელი შევუწყოთ და სასურველი მსვლელობა მივცეთ. საუბედუროდ, შრომის გვეშინია, ახალი ზომის შემოღების უნარი ჩვენ არ გვაქვს და მივაჩანჩალებთ ძველი გზით ოღრო-ჩოღროში გაჭირვებით. ჩვენ ისიც ვერ შეგვისწორებია, რაზედაც სარევიზიო კომისიამ არა ერთჯერ მიგვითითა. ერთი წლის წინად 1898 და 1900 წლების კომისიებმა აღნიშნეს, რომ საჭიროა ყოველივე მემამულეს თავის განსაკუთრებული, როგორც ამას ბუხგალტერია მოითხოვს, გარდასახადების ანგარიში ექნეს ქალაქის გამგეობაში (лицевые счета); ეს სთქვა 1898 წლის სარევიზიო კომისიამ, იგივე გაიმეორა 1900 წლის კომისიამაც და თან დასძინა, რომ, თუ ეს ანგარიში ქალაქის გამგეობას არ ექნა, ბევრი დაეკარგებაო, მაგრამ აქამდინ არა გვღირსებია-რა ამ მხრივ, საქმის ასე უხეირო ძღოლა არის მიზეზი, რომ უკანასკნელ ოთხის წლის განმავლობაში მამულებიდან შემოსავალმა მხოლოდ ორი ათასი მანეთი მოიმატა: 1899 წლის ხარჯ-აღრიცხვით, ეს შემოსავალი იყო 40 ათასი მანეთი და მიმდინარე წელს-კი ქალაქის გამგენი ელიან 42 ათასს. ნუ დაივიწყებთ, რომ ეს ოთხი წელიწადია, რაც შენობების რიცხვმა ქუთაისში ძლიერ იმატა და ორი წელი, რაც სახლების და დუქნების ქირამ მეტად აიწია. არც ამან, არც იმ გარემოებამ, რომ კვირაში ათს გეგმას შენობის აგებისას მაინც ამტკიცებს ქალაქი, არ დააფიქრა ჩვენი გამგეობა, რომელიც ნელა მიდუდუნებს ძველი ბილიკით და ამ უკანასკნელის გამკაფველებს-კი ჰკიცხავს და ლანძღავს.

სხვა გარდასახადთა შორის უფრო საყურადღებოა ხიდებზე გარდასახადი; 1899 წელს ქალაქს ამ წყაროდან შემოსავალი ჰქონდა 12 ათასი მანეთი, ხოლო ამ წლის ხარჯთ-აღრიცხვაში არის შეტანილი 18 ათასი; დღითი დღე მატულობს ეს შემოსავალი, მაგრამ ქალაქი მაინც იჯარით აძლევს ხიდებს და მას აზრადაც არ მოსვლია თავად გასძღოლოდა ხიდებზე გარდასახადის საქმეს. ეხლა მე არ შევეხები იმ საკითხს, თუ რამდენად სამართლიანია ეს გარდასახადი, რადგანაც ქალაქის იმ გაჭირვებულ მდგომარეობაში, რომელშიაც ეხლა ქუთაისია, ამის შესახებ სჯა-ბაასი მეტი იქნება. მხოლოდ საჭირო-კი იყო ქალაქს თავად აელო ხიდებზე გარდასახადი და საქმე იჯარით არ გაეცა. თუ კერძო მოიჯარადრე კაცებსაც ქირაობს, ქალაქის გამგეობასაც ფულს აძლევს, პირობის დაწერის დროს ქაღალდს ყიდულობს და სარგებლობას ჰხედავს, ქალაქიც მოიგებდა, რომ ეს საქმე კერძო კაცისთვის არ მიეცათ, მაგრამ ეს მიუმატებდა შრომას ქალაქის გამგეობას და შრომა ხომ მეტი ბარგია.

მე-134 მუხლის ძალით საქალაქო დებულებისა, ყოველ ცხენზე, რომელსაც პატრონი ამუშავებს ქალაქში, დადგენილია გარდასახადად 4 მანეთი წელიწადში და ხარზე ანუ კამეჩზე 3 მან. აქ ჩვენ იძულებული ვართ გავიმეოროთ ქალაქის მმართველობისადმი იგივე, რაც ზემოთ აღვნიშნეთ მამულებზე გარდასახადის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელ დროს სხვა-და-სხვა ეტლები და მარხილები ძლიერ გამრავლდნენ და რიცხვმა, როგორც ცხენებისა, აგრეთვე ხარ-კამეჩისა მეტად იმატა, შემოსავალს ქალაქის სასარგებლოდ არა დაეტყო-რა და 1899 წლიდან დღემდე მხოლოდ 350 მან. მოემატა ამ შემოსავალს. 1899 წელს ქალაქს შემოუვიდა 2100 მ. და წელს ელის 2450 მ. ქალაქმა აქამდინ ვერ შეიმუშავა ის წესი, თუ რა გვარად და ვისი დახმარებით გაიგოს მან რაოდენობა, როგორც მუშა ცხენებისა, აგრეთვე ხარ-კამეჩისა. სარევიზიო კომისიამ არა-ერთჯერ აღნიშნა თავის მოხსენებაში ეს ნაკლულევანება ქალაქის გამგეობისა, მაგრამ იგი ძველ გზას ვერ აშორდა და არც ცდა გამოიჩინა ამ მხრივ.

ამგვარივე დაუდევრობა ეტყობა ქალაქის გამგეობას იმ გარდასახადის აკრებაში, რომელსაც ქალაქი ახდევინებს მცხოვრებლებს ქუჩებში საამშენებლო მასალის დასაწყობად. ქალაქი თვეში აბაზს იღებს ყოველ ოთხკუთხიან მასალით დაკავებულ ქუჩის საჟენში; 1899 წელს ამ გარდასახადმა მისცა ქალაქს 200 მანეთი, მხოლოდ შემდეგ ამ თანხამ იკლო რაღაც მიზეზების გამო. ჩვენის აზრით, მიზეზი ერთია—ქალაქმა ვერ შეიმუშავა და ვერ დააყენა ისე საქმე, რომ იცოდეს, ვინ, სად, და რამდენი ალაგი ქუჩისა დაიკავა საშენებელ მასალით. საჭიროა ამასაც ყური ათხოვოს ჩვენი ქალაქის გამგეობამ.

ამით ვათავებთ ჩვენ პირველ წერილს და სხვა გარდასახადებზე ქალაქის სასარგებლოდ ჩვენ მაშინ გვექნება შემთხვევა ვიბაასოთ, როდესაც შევეხებით სხვა-და-სხვა მოქმედებას, უკეთ ვსთქვათ არა მოქმედებას ჩვენის ქალაქისა.

ბაკ—ელი.

ჭიათურის საქმეების გამო.

ზოგიერთს მკითხველს, ვიცი, არაფრად იამება ხელ-ახლა განხილვა ჭიათურის საქმეებისა. ბევრს ისე მობეზრებული აქვს ჭიათურა და მისი საქმეები, რომ მარტო „ჭიათურის“ სახელის გაგონებაზე ნერვები ეშლება. რასაკვირველია, ჩვენ ამ გვარ ნერვებ-აშლილთათვის არა ვწერთ; არ შემიძლიან-კი არ გავახსენო ამ ვაჟბატონებს შემდეგი: საუკეთესო საშუალება, რომ დამშვიდებული ნერვები არ აგეშალოს, ის არის, რომ საწყენი არაფერი არ უნდა წაიკითხო.

ჭიათურაზე და მის საქმეებზე ერთობ ბევრი დაიწერაო, გაიძახიან. ჩემის ფიქრით-კი, მართალია, ბევრი დაიწერა, მაგრამ ცოტა-კი გამოირკვა.

დიაღ, ჩვენს ყოველ დღიურ გაზეთებს ჯერ თვისი გადაწყვეტილი აზრი არ გამოუთქვამთ ხსენებულ საქმეების შესახებ.

მე მგონია, რომ სიჩუმე ასეთ საქმეში დიდი პუბლიცისტური ცოდვაა. როგორ! ყოველივე ამბავი დაწვრილებით გავიგეთ, ფაქტები ხელთა გვაქვს და ჩვენი აზრი-კი შესახებ ამ ფაქტებისა საზოგადოებას უნდა დავუმალოთ, არ უნდა გავუზიაროთ? არა! ჩვენი ზნეობრივი მოვალეობაა: ავს—ავი ვუწოდოთ, კარგს—კარგი. სიფრთხილე ამ გვარ საქმეში საჭირო არ არის, საჭიროა მხოლოდ სინათლე!

როგორც მკითხველს მოეხსენება, ამ წერილის ავტორი ჭიათურის საქმეების შესახებ ოპოზიციისკენ არის. აქ უნდა აღვნიშნო, რომ ოპოზიცია კრების წევრებისა და ოპოზიცია პუბლიცისტისა სხვა-და-სხვაა. კრების წევრის კრიტიკა შეზღუდულია წინა კრების გარდაწყვეტილებით. პუბლიცისტს-კი უფლება აქვს კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატაროს, როგორც უკანასკნელ კრების გარდაწყვეტილება, აგრეთვე წინა კრებისა. საზღვარი პუბლიცისტურის კრიტიკისა უფრო ფართოა.

ამიტომ ჩვენ ნებას ვაძლევთ ჩვენს თავს, შევეხოთ ჭიათურის საქმეებს საზოგადოდ და განგებ არ ვცლიდავთ ჩვენი კრიტიკის თვალთა-ხედვის ისარს. ჩვენ გვსურს გავარჩიოთ ჭიათურის მრეწველთა კრებების და საბჭოს მოქმედება თავიდან ბოლომდის, როგორც ერთი მთელი რამ, დაუკეტავ-დაუნაწილებლად, რომ უფრო ნათლად დაგვეხატოს თვალ-წინ ზნეობრივი სახე ამ მოქმედებისა.

როგორც მკითხველმა იცის, ჭიათურის მრეწველებს აქვთ წელიწადში 100,000-ზე მეტი შემოსავალი სხვა-და სხვა საერთო საქმეთა და საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

ახლა ვიკითხოთ, რა გაკეთდა ამ ფულით?

მუშები დღემდის ისევ საშინელ, ყარტლით სავსე მღვიმე-მადაროებში მუშაობენ; ჩალვადრები ისევ ძველებურ, აუტანელ, საშინელ საჯინიბოებში სცხოვრობენ. სასადილოები მათ არა აქვთ, სასწავლებელი მათთვის აქამდის არ გაუკეთებიათ; ჭიათურის გზები საშინელებაა. განათება ხომ ჭიათურას არასოდეს არ ეღირსება ვგონებ. ერთის სიტყვით, როგორც მკითხველიც დამეთანხმება, ჯერ არაფერი არ გაკეთებულა ისეთი, რომ საერთო წყლულს ოდნავ მაინც მალამოდ დასდებოდა.

გააკეთეს მხოლოდ აბანო, რომელზედაც დაჰხარჯეს 100,000 მანეთამდის.

სამწუხაროა და თან საკვირველი. ამ რამდენსამე წელიწადში ამდენი ზღვა ფულით მხოლოდ აბანო გაკეთდა. ყოველი სხვა საჭიროება დაუკმაყოფილებელი დარჩა. რატომ? ამდენის წლის განმავლობაში იმდენი ფული არ შეგროვდა, რომ ზემოხსენებული უპირველესნი საჭიროებანი დაეკმაყოფილებინათ?!

ამ საქმეში დამნაშავენი არიან, როგორც მრეწველნი საზოგადოდ, აგრეთვე მათი საბჭო; განსაკუთრებით საბჭოს ედება ბრალი, რადგან მოთავე, მრჩეველი, მაჩვენებელი საერთო საჭიროებათა საბჭო უნდა იყოს.

ვიმეორებთ, რომ ერთად-ერთი თვალ-საჩინო საქმე, რომელიც დღემდის გაკეთებულა, აბანოა. ეს არის გვირგვინი მრეწველთა მოღვაწეობისა.

აბანო დაჯდა 100,000 მანეთამდის, თუმცა საკუთრად ამ საქმისმთვის ბევრად ნაკლები იყო გადადებული კრებისაგან. საბჭომ დაარღვია წინა კრების გადაწყვეტილება დ გადააცილა თავის უფლებას, რადგან, ვითომც, საქმის ნამდვილი საჭიროება მოითხოვდა ამას.

როგორც ვიცით, წინა კრების გარდაწყვეტილებით საბჭოს დავალებული ჰქონდა აეგო აგრეთვე შენობა საავადმყოფოსათვის; ეს გარდაწყვეტილება აუსრულებელი დარჩა. რატომ? მარტო აბანოზე 100,000 მანეთის დახარჯვას ის არა სჯობდა, რომ 50,000 მანეთი აბანოზე დაეხარჯათ და 50,000 მანეთი საავადმყოფოს შენობაზე? ნუ თუ 50.000 მანეთის აბანო ჭიათურის მცხოვრებთ არ ეკადრებოდათ? გვეტყვიან, რომ მაშინ აღარ გვექნებოდა ელექტრონი და სხვა მდიდრული მოწყობილობა? ბატონებო, რა გველექტრონებათ ჯერ ხანად, როდესაც ბოლში ვიხრჩობით! როდესაც ავდმყოფები იხოცებიან ქსენონის საშინელ ანტიჰიგიენურ მიზეზთა გამო, ელექტრონის აპარატებს გვიმზადებენ მომავალ სამკურნალოსათვის! როდესაც შინ ცოლშვილი შიმშილით გვეხოცება, გარედ ტაბლას რა უნდა?!

ამგვარად ყოვლად მიუტევებელი ცოდვა მოიქმედა საბჭომ მით, რომ იმ ფულით, რომელიც აბანოსაც აშენებდა და ქსენონსაც, მარტო აბანო აშენა.

საკვირველია აგრეთვე, რომ საბჭოს ის ფული, რომელიც სტიპენდიებისათვის იყო გადადებული, დაუზოგნია და არ დაუხარჯავს.

განსაცვიფრებელია ისიც, რომ წელს კრებამ განმანათლებელ საჭიროებათათვის ასე ცოტა ფული გაიმეტა. გარდასწყვიტეს ჭიათურაში სამოქალაქო სასწავლებლის დაარსება. ამგვარად განათლების მხრივ არა თუ ზესტაფონი, საწყალი ხარაგაულიც-კი აღემატება მდიდარ ჭიათურას! ეს გარემოება ცხადჰყოფს მრეწველთა სულის ზრახვათა და წადილთა ვითარებას! სირცხვილს ფეხი ამოუკვეთია ჭიათურიდგან და ვგონებ აღარასოდეს აღარ გაიჭაჭანოს აქეთკენ!

მღვიმე-მადაროების განათების საქმე უყურადღებოდ დასტოვეს. ამგვარად მუშებმა კვლავ უნდა ისუნთქონ საშინელი ყარტლი, მტვრით შეზავებული!

ძლიერ ცუდად იქცეოდა, ჩემის ფიქრით, საბჭო წლევანდელ კრებაზე. არც ერთი საყურადღებო საქმე, რაც-კი ჭიათურისა და მღვიმე-მადაროების საჭიროებას შეეხება, მას არ მოუხსენებია კრებისთვის.

კერძოდ ბ-ნ ზდანოვიჩის შესახებ გამოტეხილი უნდა აღვიარო, რომ ყოვლად შეუძლებელია პირუთვნელმა კრიტიკოსმა მისი საქციელი მოიწონოს. მოპირდაპირეთა შეურაცხყოფა და დამცირება, წრეს გადასული ყვირილი და დარღვევა მართებლობისა,—აი, ეს იყო მისის ტაქტიკის ერთი იარაღთაგანი. ამას გარდა, არც ერთ საზოგადო საჭირო საქმის სასარგებლოდ არ დაუხარჯავს. სიტყვა, არა თუ არ წარმოუდგენია მოხსენება; როცა ამ გვარ საქმეზე ლაპარაკი ჩამოვარდებოდა, იგი მოუმზადებელი რჩებოდა და მხოლოდ იმას გაიძახოდა, გვირჩიეთ რამეო. ვინც წაიკითხავს კორესპონდენციებს ყველა ჩვენს გაზეთებში, დამეთანხმება, რომ ეს ასე იყო.

აქ არ შემიძლიან არ გავახსენო მკითხველს ერთი რამ. ბ-ნმა ზდანოვიჩმა, როგორც თვითონ აღიარა, ბ-ნი წერეთელი (ტეხნიკი) და გამრეკელი (ქსენონის ეკონომი) დაითხოვა იმ წამსვე, როგორც-კი სარევიზიო კომისიამ მათ მოქმედებაში სიყალბე აღმოაჩინა. მაშასადამე, იმისავე სიტყვით, სარევიზიო კომისია, რომელიც მუდამ ყურს უნდა უგდებდეს საბჭოს მოქმედებას, სასარგებლოა და საჭირო. ბ-ნი ზდანოვიჩი-კი წინააღმდეგი იყო, რომ სარევიზიო კომისიას ასეთი უფლება მინიჭებოდა.

გაამართლებს-კი ამას იქით ბ-ნი ზდანოვიჩი საზოგადოების ნდობას? ვნახოთ.

ვასილ წერეთელი

ჩვენებური ამბები

ფოთი. კვირას, 16 მარტს, ყოვლად სამღვდელო ალექსანდრეს მიერ გარდახდილ იქმნა პანაშვიდი განსვენებულის თავ. გრიგოლ დავითის ძე აბაშიძის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდზედ ხალხი ბლომად დაესწრო. ბ. ვ. ლომთათიძემ შესაფერისი სიტყვა წაიკითხა. აქეთ კარგი ამინდებია. ხეხილი გამოვიდა: მაგ. ტყემალი, ატამი და სხვა.

იო.

ქ. გორი. კვირას, 16 მარტს, აქაური სცენის მოყვარულთაგან გორის კლუბში გამართულ იქმნა საშინაო წარმოდგენა. წარმოადგინეს „ბაიყუში“ და „დატრიალდა ჯარა“. მშვენივრად შეასრულეს მოთამაშეებმა თავიანთი როლები, თუმცა ზოგიერთს ეტყობოდათ როლის მოუმზადებლობა, მაგრამ თვისი მიხვრა-მოხვრით ავსებდნენ ნაკლს. მშვენივრად იყო დასურათებული ბაიყუშში: რევაზ თავქარიანი, ელისაბედი, კოტე ვარდკაპაშვილი და ტიგრან ტერ ფუქსავატიანცი; „დატრიალდა ჯარაში“ ახალგაზდა ექიმის ეჭვიანი ცოლი ტიტინა და მოხუცებული მთვრალი გლეხკაცი სოსია, რომლის დასურათებამაც დიდად ნასიამოვნი დასტოვა საზოგადოება. წარმოდგენის შემდგომ გაიმართა ევროპიული ცეკვა და ლეკური. ამ ამბავმა გასტანა ღამის ორ საათამდე. დიდი მადლობის ღირსნი არიან გორის სცენის მოყვარულნი, რომელთაც არ დაიშურეს თავიანთი შრომა და დიდად სასიამოვნო იქმნება, რომ ხშირად მართონ ხოლმე ასეთი წარმოდგენები.

დამსწრე.

რუსეთი

ქალთა სამეურნეო საზოგადოებას განზრახვა აქვს ქალთათვის სამეურნეო ინსტიტუტი დააარსოს და უკვე ნება-რთვა უთხოვნია მთავრობისაგან. ამ დღეებში სამიწად-მოქმედო სამინისტროს სპეციალურ კომისიაში განიხილავენ იმ საკითხს, თუ რანაირი ტიპის უნდა იქნეს მომავალი სამეურნეო ინსტიტუტი. სურთ ნება ითხოვონ და ხელის მოწერით შეაგროვონ რუსეთში ინსტიტუტისათვის საჭირო თანხა.

— გაზ. „Новое Время“-ს სწერენ ჩრდილო კავკასიიდან: თერგის ოლქის სხვა-და-სხვა ადგილს დამკვიდრებული ბევრი მოახალშენე რუსები სთხოვენ კავკასიის მთავარ-მმართებელს, ნება მიეცეთ მათ ამიერ კავკასიაში გადმოსახლდნენ და სახელწიფო ადგილებში დამკვიდრდნენ. გადასახლების სურვილის მიზეზი ის არის, რომ მოახალშენეთა უროს ნაწილს ჩრდილო კავკასიაში მწირი და ციებიანი ადგილები ერგოთ.

უცხოეთი

საფრანგეთი. ჟორესსა და სამხედრო მინისტრად ნამყოფ კავენიაკს შორის დიდი განხეთქილება მოხდა. კავენიაკი, რომელმაც თანამდებობას თავი დაანება ჰანრის მიერ შედგენილ ყალბ წერილების გამო, ერთი პირველ მეთაურთაგანია ნაციონალისტთა ჯგუფისა და საფრანგეთის ლიგისა. კავენიაკმა ერთ კრებაზედ საჯაროდ გამოაცხადა, რომ ჟორესის მიერ მშვიდობიანობის შესახებ წარმოთქმული სიტყვა, გერმანულად გადაუთარგმნიათ და მეცში განცხადების ბოძებზედ გაუკრავთ ფრანგთა საწინააღმდეგო აგიტაციის გასაძლიერებლადაო. ამაზედ ჟორესმა უპასუხა მეცის გაზ. „Le messin“-ში და ამტკიცებდა,—კავენიაკის სიტყვები სრული სიცრუვეაო.

კავენიაკსაც დაუწერია პასუხი და ჟორესის ორგან „Petite Repub.“-ის რედაქციაში მიუტანია, მაგრამ არ დაუბეჭდიათ. გაბრაზებულ კავენიაკს დაუბეჭდვინებია ჟორესის მიმართ მეტად შეურაცხმყოფელი წერილი და მისი პირი პარიჟის მეოთხე ოლქში საგანცხადებო ბოძებზედ გაუკვრევინებია (ამ ოლქში ეხლა ხან გამოაცხადა თავის კანდიდატურა ნაციონალისტ ბარრესმა), და ჟორესისათვის სეკუნდანტები გაუგზავნია. ჟორესმა თავის მხრივ აირჩია მოწმეებად ჟერო-რიშარი და დეჟენი. ამათ გარდასწყვიტეს,—ჟორესი ხმალში არ უნდა გაჰყვეს კავენიაკსაო.

ჟორესმა დაბეჭდა „Pet. Rep.“-ში შემდეგი პასუხი კავენიაკის მიმართ:

„გულითადს მწუხარებას ვაცხადებ კავენიაკის შეცდომის გამო და უფრო იმიტომ, რომ ჩემი სიტყვა იარაღის დაყრისა და სხვა-და-სხვა ხალხთა ურთიერთ კეთილ-განწყობილების დამყარების შესახებ მართლა არ გაკრეს მეცში. ნეტავ ასე ყოფილიყო! მე ეს დიდად მესიამოვნებოდა. საამისო დრო თუმცა ჯერჯერობით არ დამდგარა, მაგრამ შოვინისტებმა, ბევრიც რომ იყვირონ, მაინც დადგება ოდესმე. მე მოხარული ვარ, რომ ჩემი აზრები ხალხთა მეგობრულ განწყობილების შესახებ გერმანიის დემოკრატიამ და გერმანიის განათლებულ ბურჟუაზიის ლიბერალურ ნაწილმა თანაგრძნობით მიიღო“-ო.

რუმინია. ბუქარესტიდგან იუწყებიან,—რუმი-

ნიაში ბევრი მაკედონიის კომიტეტის აგენტნი დაძრწიან და სცდილობენ ადგილობრივი მკვიდრი მაკედონელნი აადელვონო. ბევრი მაკედონელი მუშა რუმინიაში მოდის ზამთრობით სამუშაოდ და საგიორგობოდ ისევ შინ ბრუნდება; ეს მუშებიც დამშვიდებულნი არ არიან: ეტყობათ, რომ სამშობლოს განთავისუფლების სურვილს იგინიც გაუმსჭვალნია. რა თქმა უნდა, აგენტებიც ხელს უწყობენ მათს მოძრაობას და მტარვალთა საწინააღმდეგოდ იწვევენ. ოსმალები მაკედონიიდგან გასასვლელ პასპორტს ადარავის აძლევენ, მაგრამ ამით საქმეს უფრო აფუჭებენ: მოუსვენარი მაკედონელები, გულითაც რომ უნდოდეთ მაკედონიიდგან სადმე გადახვეწა, ძალა-უნებურად იქვე უნდა დარჩნენ და მჩაგვრელთ წინააღმდეგობა გაუწიონო.

რუმინიაში, მუშების გარდა, იმყოფებიან აგრეთვე მდიდარი მაკედონელებიც, რომელნიც ღმერთსაც და სამშობლოსაც ფულს ანაცვალებენ: ისინი არ დაგიდევენ მაკედონიის არც თავისუფლებასა და არც ტანჯვა-წამებას; მათ ამაოდ ჩასჩიჩინებენ კომიტეტთა აგენტნი,—თუ მკლავით არა, ფულით მაინც დაეხმარენით თქვენს ტანჯულ მოძმეებსაო. ბევრი ისეთი მაგალითიც მოხდა, რომ ამათთანა ჯიბე სქელებს, სიტყვით რომ ვერაფერი შეასმინეს, მიუშვირეს გულში დამბაჩა და სიკვდილს უქადდნენ დაუხმარებლობისათვის.

ოსმალეთი. სოლუნიდან იუწყებიან, სტრუმიცას ოლქში დიდძალი ოსმალთა ჯარი სდგასო. სოლუნის სამხედრო საოლქო შტაბმა შეიმუშავა სამხედრო მოძრაობის გეგმა. ამ გეგმით დასავლეთ ბულგარიის საზღვარი ოსმალეთის ჯარებმა მთლად უნდა შეჰკრან, რომ ბიტოლიის ოლქს ბულგარიასთან მისვლა-მოსვლის გზა მოუჭრან.

—

სოლუნში მიუღიათ ცნობა, ბორის სარაფოვი ამ ჟამად რაზლოგის ოლქში იმყოფებაო. ბიტოლიის ოლქში მოქმედობს მაკედონიის კომიტეტის მეორე წევრი—დავიდოვი თავისი რაზმითაო.

— გაზ. „Echodes Balk.“-ი იუწყება,—როგორც მაკედონიიდან მოსულ უკანასკნელ ცნობებიდანა სჩანს, უმაღლეს წრეებში იმგვარი მეუდროება ჩამოვარდა, რომ საშინელი ქარიშხალი უნდა მოჰყვესო.

ასეთისავე აზრისაა ხონთქრის კარზე მყოფი იტალიის სამხედრო ატტაშე, რომელმაც ეხლა-ხან მოიარა სოლუნის, მონასტირისა და უსკიუბის ოლქები.

ლონდონის გაზეთობამ მოსალოდნელ არეულობის გამო, მაკედონიაში საკუთარი კორრესპონდენტები გაჰგზავნა. პარიჟის „ჟურნალ“-მა გაჰგზავნა, თავის მხრით, ლიუდოვიკ ნადო, რომელიც ამ ჟამად სოფიაში იმყოფება.

თეატრი და ხელოვნება

ფოთი. აქაურ სცენის მოყვარეთ თვითონვე რცხვენოდათ, რომ იმათი ხსენება აღარსად იყო: არც გაზეთებში და აღარც ფოთში. მთლად მოისპო მათი ხსენება და, მგონია აღარც-კი არავის ახსოვდა, თუ აქ როდისმე ან ყოფილან და ან თუ არიან სცენის მოყვარენნი. მაგრამ ეს ყველა მთლად მათი ბრალი არ არის, რა ჰქნას მარტო თვითონ ახალ გაზრდა სცენის მოყვარემ, თუ კარგი და პატივ-ცემული პირი არ აღმოუჩნდება მათ წინამძღოლად და არ ითავებს საერთო საქმეს? სამკითხველოს არა-სასურველმა მდგომარეობამ აფიქრებინა მის გამგეს და წევრებს, სცენის მოყვარულთა დახმარებით, სამკითხველოს სასარგებლოდ წარმოდგენა გაემართათ. მოთავეებს ყველა სცენის მოყვარულმა თანაგრძნობა გამოუცხადა და კვირას, 16 მართს 1903 წ., აქაურს საკრებულო დარბაზში სცენის მოყვარულთა მიერ, არტისტის ბ. მ. ჟღენტის მონაწილეობით, ზემოაღნიშნულ წიგნ-საცავის სასარგებლოდ წარმოდგენილ იქმნა კიდევაც ხუთ-მოქმედებიანი დრამა „და-ძმა“, თხუზ. ვ. გუნიასი. მონაწილეობას იღებდნენ: ბ. კონხრეიძე (ფაშა) ბ. დ. ჟღენტი (ყარაოღლი) ბ. ანჯაფარიძე (ჯახვერდი) ბ. აპ. წულაძე (ოტია). ბ. ახობაძე (გიორგი ადამია) ბ. ა. ჟღენტი (ქუჩუ ადამია) არტ. ბ. მ. ჟღენტი (გაიოზ ფაღავა) ქ. ალ. ჩაჩანიძე (მარინე) ქალ. გოთოშია (გალია) და სხვანი. ბევრმა მოთამაშემ ძალიან კარგად ჩაატარეს და პასუხ-საგები როლები.

პირველი ადგილი ქ-ნ ჩაჩანიძეს უნდა დავუთმოთ. მარინეს როლი ძნელ როლად უნდა ჩაითვალოს სცენის მოყვარულისათვის. მარინე ერთობ ცუდს მდგომარეობაშია ჩავარდნილი: არ იცის, ვინ არჩიოს, ღვიძლი ძმა, თუ საყვარელი ოტია, როგორც ეს ადგილი, აგრეთვე სხვებიც ქ-ნმა ჩაჩანიძემ კარგად დაასურათ-ხატა. თავისუფალი მიხვრა-მოხვრა ამ ქალისა, მეტყველი ხმა და შესაფერისა მოძრაობა სახისა ხომ სულ ჰხიბლავდა საზოგადოებას. იგი დაჯილდოვებულ იქმნა ტაშის კვრითა და ვაშას ძახილით.

ახალგაზრდობამ მიართვა, ნიშნად დამსახურებული სახელისა, „ვეფხვის ტყაოსანი“ წარწერით: „საიმედო სცენის მოყვარულ ქართველ ქალს ალექსანდრა გრიგორის ასულს ჩაჩანიძეს („მარინეს“ სახსოვრად), ფოთის ქართველ საზოგადოებისაგან“.

ამ დღეს მარტო ქ-ნ ალ. ჩაჩანიძის თამაში არ არის აღსანიშნავი, სხვებიც ზედმიწევნით კარგად თამაშობდნენ და ასრულებდნენ თავიანთ როლებს.

არტ. მ. ჟღენტმა უნაკლულოდ ჩაატარა გაიოზ ფაღავას როლი. სწორედ ცოცხლად დაგვანახა მან ციხეში, ფერ მიხდილი, ფიქრებისაგან დაბედშავებული, მისუსტებული გაიოზი.

ბ-ნ აპ. წულაძემაც კარგად დაასურათა სამშობლოს მოღალატე და გამყიდველი კაცი—ოტია ჯოლია, ხოლო ბ-ნ ა. ჟღენტმა—ორ-წყალშუა მყოფი უდანაშაულო ქუჩუ ადამია.

კარგი იქნებოდა, ყველა მომეხსენებინა, მით უფრო, რომ ღირსნიც იყვნენ, მაგრამ სიტყვა შორს წავა...

წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო და დიდი ნასიამოვნებიც დარჩა.

სამკითხველოს წმინდა შემოსავალი ას-ოთხმოც მანეთამდე მეტი დარჩა.

ახლო მომავალში ისევ აპირობენ წარმოდგენის გამართვას. იო.

ნარკვევი

ოფიციალურმა „Финлянд. Газ.“-მა განმარტა ამას წინად უმაღლესი ბრძანებით 13 ფინლიანდიის მოხელეთა სამსახურიდგან გადაყენების მიზეზი.

„სწორედ იგივე მიზეზია, რომელმაც თებერვლის 10-ს აბოს სასამართლოს 16 მოხელის სამსახურიდგან გადაყენება გამოიწვია. აქაც და იქაც ჩვენ ვხედავთ მთავრობის განკარგულებათა ურჩობას; არ სცნობენ კანონად უმაღლეს ბრძანებას, დამნაშავე მოხელეთა განსამართლების წეს-რიგის შესახებ. სცდილობენ ფინლიანდიის დაბალი ხარისხის სასამართლოები გადააქციონ უმაღლეს სასამართლოდ, რომელმაც უნდა განიხილოს საკითხნი სახელმწიფო უფლების შესახებ. ჩვენ დროში, როცა ყველგან პოლიტიკური ხასიათის მოძრაობაა, ფინლიანდიის იურისტების აზროვნება დაიბნა, მტკიცე და სწორ მეცნიერების გზას ასცდა და კანონებს პოლიტიკური პარტიების მოთხოვნილებათა მიხედვით განმარტავს ხოლმე. პოლიტიკაში გართულ ფინლიანდიელ იურისტებს თითქმის სრულებით დაავიწყდათ მეფეის ბრძანებლობის დროიდგან ნაანდერძევი ფინლიანდიის კანონმდებლობის უმთავრესი დარგი—ეგრედ წოდებული ადმინისტრატიული კანონმდებლობა, ე. ი. იმისთანა კანონები, რომელთაც თითონ ხელმწიფე გამოსცემს ხოლმე სეიმისაგან დამოუკიდებლად.

ფინლიანდიის იურისტები იმ აზრს ადგანან, რომ ფინლიანდიაში არც ყოფილა და დღესაც არ არის სხვა კანონმდებლობა სეიმის კანონმდებლობის გარდა და ხელმწიფეს არა აქვს დამოუკიდებელი საკანონმდებლო უფლება, არა აქვს ნება გამოსცეს არც ერთი კანონი, თუ ფინლიანდიის საერობო მოხელენი თანახმა არ გაუხდნენ.

ამ ბოლო დროს ყველა უმაღლესი დადგენილება, რომელიც ადგილობრივ პოლიტიკანების ინტერესებს არ ეთანხმებოდა, ამ ქვეყნის „ძირითადი კანონების წინააღმდეგად“ იქნა გამოცხადებული, რადგანაც საერობო მოხელეთა დაუკითხავად გამოსცეს. არავინ არ კითხულობს, თუ სახელდობრ რომელ ძირითად კანონს ეწინააღმდეგება ახლად გამოცემული კანონი და რად უნდა მივაწეროთ იგი, მისი შინაარსის მიხედვით, სეიმისა და არა ადმინისტრატიულ კანონმდებლობას. გამოიხსეს ჯადოსნური სიტყვა „ძირითადი კანონი“ და იურისტებსაც საკმაოდ მიაჩნიათ იგი ამა თუ იმ კანონის გაცრუებისათვის. თავისი მეთაურების მორჩილნი, ძალ დაუტანებლივ წინააღმდეგობის მიმდევართ, სამპერატორო სასამართლოს წევრთ ძირითადი კანონის წინააღმდეგად გამოაცხადეს უმაღლესი დადგენილება დამნაშავე მოხელეთა განსამართლების წეს-რიგის შესახებ და არ დაემორჩილნენ ამ დადგენილებას. ამ ურჩობის შედეგი იყო პირველად აბოში სასამართლოს 16 წევრის და მეორედ ვიბორგში სასამართლოს 13 წევრის სამსახურიდგან გადაყენება.

„ივერიის“ ფოსტა:

ს—ლს. ღვთის კაცს. თქვენი წერილი არ დაიბეჭდება. ჩვენის აზრით, საზოგადო მნიშვნელობას მოკლებულია.

ალი—რს ე. კახელს. მოგვაწოდეთ ის ცნობანი ქართველთა შესახებ, რომელსაც გვპირდებით. თქვენს წერილს განვიხილავთ და გადავსწყვეტთ, დაიბეჭდება თუ არა.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

18 მარტს.

პეტერბურგი. სარწმუნო წყაროდან მიღებული ამბავი: გუშინ მეამბოხე არნაუტები თავს დაესხნენ მიტროვიცას. ბრძოლამ ორი საათი გასტანა. ოსმალთა ჯარმა დაამარცხა და გაფანტა არნაუტები. მოკლულთა რიცხვი დიდია ოსმალეთის მთავრობამ დაიბარა დივიზია აიდინის ვილაეტიდან, ალბანიაში გასაგზავნად, რადგან იქ არ მოისპობა არნაუტთა შორის მოძრაობა. სტამბოლში რუსეთის ელჩს დაევალა ენერგიული წინადადება წარუდგინოს პორტას, საბოლოო ზომები მიაღებინოს ოსმალეთის მთავრობას თვითნება ალბანელ ტომთა ასალაგმავად.

„კანონთა კრებულში“ დაბეჭდილია: ველოსიპედებს და თვით-მოძრავ ეტლებს გადასახადი დაადვეს ქალაქების სასარგებლოდაო.

ბერლინი. გაზ. „კელნიშე ცეიტუნგის“ ბელგრადელი კორრესპონდენტი დეპეშით ატყობინებს გაზეთს: სალონიკიდან ამბავი მოუვიდა, ბოლგარიის ჯუფთების დატყვევებულ მეთაურების ჩვენება ჩირქსა სცხებს ბოლგარიის მთავრობას: თვითეული ჩვენგანი 100 ფრანკს იღებდა თვეში ბოლგარიის მთავრობისგანაო. ამ ცნობას დამტკიცება სჭირდება.

სტამბოლი. პორტამ განაცხადა,—ისტიბის ოლქში ბულგართა ჯუფთნი სრულიად მოვსპეთო. მისის ვარაუდით, კიდევ უნდა არსებობდეს ორი მცირე ჯუფთი მონასტირისა და პრილეპის არე-მარეში, მაგრამ იმათაც ბეჯითად სდევნიანო.

მადრიდი. გელილიიდგან მოსული ცნობა,—ტახტის მაძიებელი 80 კილომეტრზედ მიუახლოვდა გელილიასო—მართალი გამოდგა. ჩრდილოეთში არეულობა თანდათან ძლიერდება. დღემდე სულთანის ერთგულ ქაბილთა და მაცეცოა უმრავლესობას განუცხადებია,—მაძიებლის მხარეს ვართო.

ალჟირი. ფიგიგის ოაზის მახლობლად მდებარე ელი-საუჯის სადარაჯოს გუშაგთ თავს დაესხნენ. მოკლულია ერთი ფრანგი უნტერ-ოფიცერი და ოთხი ჯარის კაცი. დაჭრილი ბევრია.

მოსკოვი. ქალაქის საბჭომ 25,000 მან. გადასდო ქალაქისავე გასამშვენებლად და მოსაწყობად. სახალხო სიფხიზლის სამზრუნველო საკვირაო სკოლებსა ჰმართავს და ლოთებისათვის (ალკოჰოლიკებისათვის) სამკურნალოსა აარსებს.

სოფია. შესდგა ახალი კაბინეტი დანევის თავმჯდომარეობით. პაპრიკოვის გარდა, რომლის მაგივრად სავოვი დაინიშნა, ისევ წინანდელი მინისტრები დარჩნენ. კრების სესსია მარტის 31-მდე გასტანს.

19 მარტი

დოროგობუჟი. ქალაქი იწვის; ცეცხლი თითქმის ას სახლს მოედო; მიიწვიეს სმოლენისა და ვიაზმის ცეცხლის მქრობელი საზოგადოებანი.

ლოძი. მოვიდნენ ჩინეთის წარმომადგენელნი, რომელთაც თან ახლავთ მოხელენი რუსეთ ჩინეთის ბანკისა მოსკვიტინი და აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზისა—ნეიმანი. ამ წარმომადგენლებმა უნდა შეისწავლონ სავაჭრო ურთიერთობის საქმე აქაურ მექარხნეებისა ჩინეთსა და მანჯურიასთან.

ლონდონი. „Times“-ს აცნობებენ შანჰაიდან, რომ ბანკირთა კომისია არ დათანხმდა გადასცეს ჩინეთ რწმუნებული ვალდებულობის ქაღალდი, წარმოდგენილი ამერიკის მთავრობისაგან, რომლის ძალითაც ვალი გადახდილი უნდა ყოფილიყო ვერცხლის ფულით ამერიკაში ზარალის საზღვაოდ. ამერიკის წარმომადგენელმა ამის გამო გამოაცხადა განზრახვა საკუთრივ წარუდგინოს ქაღალდი ხელმოსაწერად.—ლორდთა პალატა. ლანსდოუნმა პასუხად ბრიტანიის გავლენის განსაზღვრისა ადენისაგან ჩრდილოეთისკენ მდებარე ქვეყნებზედ გამოაცხადა, უკანასკნელ მოხსენებიდგან სჩანს, რომ ოსმალოს ჯარი, რომელიც წინააღმდეგობას უწევდა საზღვის გაყვანას, უკან დაბრუნდა და ამის გამო დაუყოვნებლივ შეუდგნენ საზღვრის გასაყვანად მუშაობასაო.

პარიჟი. პალატამ შეიწყნარა ბიუჯეტი ყველა იმ ცვლილებით, რომელიც სენატმა მოახდინა. საბოლოოდ შეწყნარებული ბიუჯეტი 3.528.000,000 ფრანკამდის ადის.

პორტსმუტი. ავდრის გამო მეფე ედუარდმა ღამე იახტაზე გაათია და მხოლოდ დღეს დილას გაემგზავრება ლისსაბონისაკენ.

ოდესსა. გაზეთ „იუგ“-ის სიტყვით სამოსამართლო მოხელეთა თანადასწრებით ორჯერ გაჭრამ დუბოსსარში მოკლულია ბავშვისამ დაამტკიცა, რომ გაზეთთაგან გავრცელებული ხმა, ვითომც ხსენებულ მკვლელობას სარწმუნოებრივი ხასიათი ჰქონდეს, არ გამართლდა.

ბერლინი. „B. A.“ გამოცხადებულია შემდეგი ბიულეტენი: „დედოფალს გამოუცვალეს არტაშანი და იმის მაგივრათ გიპსით შეუკრეს ხელი; ძვლის გატეხილობის მორჩენა მოსალოდნელია; თავის თავს ავადმყოფი კარგათ გრძნობს. "F. Z." იცნობება, რომ გერმანიის ელჩი სტამბოლში, მარშალი ძრიელ ავათ გამხდარა ინფლუენციით.

სტოკჰოლმი. დღეს მეფე ხელ-ახლა შეუდგა სამეფოს მართვას.

სტამბოლი. აღმოსავლეთ რკინის გზათა მთავარ სამმართველოს მიერ მიღებულ ცნობებით, გუშინ ღამ აუფეთქებიათ რკინის გზის ხიდი სადგურ მუსტაფა-ფაშასთან. სტამბოლთან მიმოსვლა შეწყვეტილია. ჰგონებენ, აფეთქება მაკედონელ მეამბოხეთა ბრბომ მოახდინაო.

სოფია. 18 მარტს ბოლგარელმა აჯანყებულებმა დააქციეს დინამიტით ხიდი მუსტაფა-ფაშისა და ყადიყ-ეი სადგურ შუა, ადრიანოპოლს ახლო. ამ ხიდზედ ის-ის იყო გაიარა ჩქარმა მატარებელმა; საფოსტო მატარებელმა ხუთის საათით დაიგვიანა. სიკვდილით არავინ მომკვდარა.

18 მარტს დანევმა წაიკითხა საერო კრებაზედ ბრძანება ახალის კაბინეტის დანიშვნის თაობაზედ. კაბინეტი ძველივეა, გარდა პაპრიკოვისა, რომლის ადგილიც დაიჭირა სავოვმა. კრება შეუდგა მორიგ საქმეებს.

კოპენჰაგენი. ინგლისის დედოფალი მობრძანდა აქ. დაუხვდა მეფე და სხვა წევრნი მეფის სახლეულობისანი.

პეტერბურგის ბირჟა, 18 მარტს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,00
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,90
ბერლინში ,,	46,30
პარიჟში ,,	—
ბირჟის დისკონტი	5—$6^{1}/_{2}$%
4% სახელმწიფო რენტა	$98^{3}/_{8}$ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	101 მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულთ ბანკისა	$95^{3}/_{8}$ გაყ.
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	$443^{3}/_{4}$ გაყ.
5% მეორე შინაგ.სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	340 გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	$299^{1}/_{2}$ გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
$4^{1}/_{2}$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	$91^{1}/_{4}$ გაყ.
$4^{1}/_{2}$% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	87 წვ. გაყ.
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	9960 წვ. გაყ.
აქციები ,, „ „ „	—
,,კასპიის ამხანაგობისა.	4210 წვ. გაყ.
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	402 წვ. გაყ.
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	203 წვ. გაყ.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდგან 15 მაისამდე.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისის).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 70/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვისა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

შორაპნამდე:—საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 12 წამ.).

გ) ბაქოდგან გამოდის:

ტფილის ბათუმისაკენ: —1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3. სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) პარასკეობით, ირდაპირ მოსკოვიდგან მოსული)—დილის 6 ს. (6 სა. 58 წ.).

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 30 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. და 40 წ. (2 ს. 38 წ.);

ბათუმისაკენ: 1) ღამის 3 ს. და 10 წ. (4 ს. 8 წ.) 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.) 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

შორაპნისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

ე) ფოთიდგან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:— საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 8 წ,).

სასამართლოს შესახები ცნობანი.

29 მარტს ტფილისის სამოსამართლო პალატაში დანიშნულია განსახილველად:

1. დავით ბიერდულისა და ვასილ ბურდულის დავა.
2. პორფირე აბესაძესი და პავლე ფუთკარაძის დავა.
3. პორფირე პატარაიასა და მიხაილოვის სათავად აზნაურო ბანკის მმართველობის დავა.
4. ნიკოლოზ კიკნაძისა და კონსტანტინე ყიფიანის დავა.
5. ბეგლარ და ვასილ ქვანიათა და პავლე თათარაშვილის დავა.
6. სვიმონ ზარანდიასა და კატოტია ცხონდიას დავა.
7. დარია და ნიკოლოზ გუგუნავათა დავა.

განცხადება

ქუთაისში
ს. მ. ბ. თოფურიას
სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

GRAND PRIX
PARIS 1900
Т-во Высшей парфюмерiи
А. Ралле и К°
Духи
„Трефль“

ლაბარატორია
რის გუტმანისა
მისის იმპერატორებითის. უდიდებულესობის კარის ვაჭარი.

ВѢРНАЯ СМЕРТЬ.

ინდოური მიშუნაი
(ქიმიკოსის რის გუტმანისა)

ნამდვილი გაწყვეტა ვირთაგვებისა, თაგვებისა, თხუნელებისა და სხვათ მათ გვართა. ეს საშუალება განდევნის სახლებიდგან და სადგურებიდგან, განსაკუთრებით ზემოხსენებულ პირუტყვებს იმრიგად, რომ იატაკის ქვეშ არა რჩებიან და ცუდს სუნს არ ავრცელებენ იქიდგან. ფასი 60 კ.—1 მ. 50 კ.

ინდოური ფხვნილი მწერთა მოსასპობლად ყველაზედ ნამდვილი საშუალება საბოლოვო გასაწყვეტად ყოველგვარ მწერთა და მათის თესლისა. ეს ფხვნილი შეუდარებელია რწყილის და ბაღლინჯოს გასაწყვეტად კრაოტებში, ლეიბებში, გალესილ კედლებში და აგრეთვე ფიცრის კედლებში. რომელსაც გაკრული აქვს ნაბდები და ნაძენძი. ჩრჩილსა სწყვეტავს ნავთალინისავით და ამასთან მასავით მძიმე სუნი არა აქვს. ამიტომ საჭირო არ არის ქურქისა და სხვა ტყავიან საცმელების შესანახავად მიცემა ზაფხულში. ეს ფხვნილი თავის მოქმედებას ყოველ გვარი ქია-ღუის წინააღმდეგ თითქმის წუთის განმავლობაში იჩენს. ფასი 35 კ., 65 კ. და 1 მ. 20 კ.

სითხე ბაღლინჯოს წინააღმდეგ (ქიმიკოსის რის გუტმანისა). სამუდამოთა სწყვეტავს. სასიამოვნო სუნისა არის და ამასთან არ ალაქავებს საცვლებს, შპალერს და მებელს. შეფრქვეული ოთახის ჰაერს სასიამოვნოდ აგრილებს და ამასთან ერთად განდევნის ჩრჩილს, ბუზებს და კოღოს. ფ. 60 კ.—1 მ.

ტოკაის ბალზამი (ქიმიკოსის გუტმანისა) განკურნავს ბებერას, მეჭეჭს და სხვა ამ გვარს, მოკლე დროს განმავლობაში. ძირიან-ფესვიანად სპობს და ამასთან არავითარ ტკივილს არ აგრძნობინებს ადამიანს. ფასი თითო ფლაკონისა 60 კ.

უმთავრესი საწყობი ტფილისში, სააფთიაქ. საქონ. ვაჭრ. ამხ.-ში და ყოველს სააფთიაქო მაღაზიაში.

(40—6.—11)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 19 марта 1903 г. Типографія „Гутенбергъ“ (кн. Гр. Діасамидзе) Дворцевая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. სარაჯიშვილი.